ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ:

- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- დააკვირდეს ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემას და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად;
- დააკვირდეს კენჭისყრის დღეს საჩივრების რეგისტრაციის პროცესს;
- დაესწროს ამომრჩეველთა ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
- დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესს;
- დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვს რეაგირებას;
- მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი/ჩარჩო-კონვერტი აქვს ხელში;
- გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას/ხმის მთვლელ სპეციალურ ელექტრონულ აპარატში ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ბიულეტენის მოთავსებას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;
- გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიისგან მოითხოვოს და მიიღოს ამ ოქმების ასლები.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ:

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- კენჭისყრის ოთახში ფიზიკურად შეაფერხოს ამომრჩევლის გადაადგილება;
- მოსთხოვოს ამომრჩეველს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენება და გამოართვას ის;
- განახორციელოს ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება (მათ შორის, შეგროვება, ჩაწერა, შენახვა, გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა ან/და გავრცელება);
- დაარღვიოს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ სხვა მოთხოვნები.

ᲪᲔᲡᲙᲝ
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 2025